

საგზაურის პაკეტში შემავალი დოკუმენტები

1. ინსტრუქცია
2. სასტუმროს ვაუჩერი
3. ავია ბილეთი
4. დაზღვევის პოლისი
5. უცხოეთის პასპორტი
6. ქალაქის რუკა №1
7. ქალაქის რუკა №2

2. სასტუმრო ვაუჩერი

- გთხოვთ ვაუჩერი შეინახოთ სასტუმროში რეგისტრაციამდე. ვაუჩერში მითითებულია სასტუმროს სახელწოდება და პაკეტის შინაარსი. მისი მეშვეობით მოხდება თქვენი გადანაწილება შესაბამის ტრანსფერზე.

3. ავია ბილეთი

- გთხოვთ ავია ბილეთი შეინახოთ ეგვიპტეში ყოფნის მთელ პერიოდში. ბილეთის წარდგენა სავალდებულოა, როგორც საქართველოდან გაფრენისას, ასევე ეგვიპტიდან გამოფრენისას. ავია ბილეთის გარეშე თქვენ არ დაიშვებით თვითმფრინავის ბორტზე.

4. დაზღვევის პოლისი

- გთხოვთ დაზღვევის პოლისი შეინახოთ მთელი მოგზაურობის მანძილზე. პოლისზე მითითებულია შესაბამისი ნომერი, რითაც თქვენ შეძლებთ პირდაპირ, „ინტერკონტინენტალის“ გარეშე, დაუკავშირდეთ სადაზღვევო კომპანიის ცხელ ხაზს. შესაბამისად, დაიზოგება თქვენი ძვირფასი დრო და „ინტერკონტინენტალის“ რესურსები.

5. უცხოეთის პასპორტი

- დარწმუნდით, რომ თან გაქვთ თქვენი უცხოეთის პასპორტი (ჩვენი კანონმდებლობით, აუცილებელია, რომ არასრულწლოვან ბავშვს ჰქონდეს საკუთარი პასპორტი).
- ორივე მშობლის მინდობილობა და ბავშვის დაბადების მოწმობა (იმ ბავშვებისათვის, ვინც მშობლის გარეშე მოგზაურობს) და ერთერთი მშობლის მინდობილობა და ბავშვის დაბადების მოწმობა (იმ ბავშვებისათვის, ვინც მხოლოდ ერთი მშობლის თანხლებით მოგზაურობს).

**** ყურადღება! თქვენი პირადი პასუხისმგებლობაა უცხოეთის პასპორტების გაფორმების სიზუსტე. თქვენი უცხოეთის პასპორტის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს გამგზავრების შემდეგ 6 თვეზე ხანმოკლე. საპასპორტო კონტროლს გავლის შეუძლებლობის შემთხვევაში, ტურისტულ ფირმასთან არავითარი პრეტენზია არ ვრცელდება.*

6. ქალაქის რუკები (№1 და №2)

სხვა დოკუმენტებთან ერთად თქვენ გადმოგეცემათ საკურორტო ქალაქის 2 რუკა. ორივე მათგანზე არის დატანილი ტურისტულად საინტერესო და საჭირო ობიექტები, მათ შორის სხვადასხვა სანაპიროები, სასტუმროები, ატრაქციონები, რაც შეგიძლიათ მოინახულოთ თქვენი დასვენების პერიოდში.

ეგვიპტის აეროპორტში ჩასვლისას

თვითმფრინავის ბორტიდან დაშვებისთანავე თქვენ შეგხვდებათ „ინტერკონტინენტალის“ წარმომადგენელი, ვისი იდენტიფიცირება შესაძლებელია შესაბამისი ტრაფარეტით. იგი თქვენ მიგაცილებთ საპასპორტო კონტროლის პუნქტამდე, სადაც გაიცემა ეგვიპტის ტურისტული ვიზები.

ვიზები. ტურისტული ვიზის მიღება შესაძლებელია აეროპორტის შესაბამის პუნქტში "Visa". ვიზის საფასურია - 15.00 აშშ დოლარი, თქვენი სურვილის შესაბამისად, შესაძლებელია დეკლარაცია შეგივსოთ ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელმა, ამ მოსახურების მეშვეობით თქვენ რიგში დგომის გარეშე შეძლებთ მიიღოთ ვიზა 20.00 აშშ დოლარის ფასად. ტურისტული ვიზის მოქმედების ვადაა ერთი თვე.

******* გაითვალისწინეთ, რომ, საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც თავდაპირველად ჩაფრინდნენ ჰურგადის ან შარმ ელ შეიხის აეროპორტებში და მათ ვიზას გაუვიდა ვადა, ეკრძალებათ ამ აეროპორტებიდან ჩერთერული რეისით ეგვიპტიდან გაფრენა, ეს შესაძლებელია მხოლოდ რეგულარული რეისით ან ეგვიპტის სხვა აეროპორტებიდან.

*** დიპლომატიური, სამუშაო და სპეციალური პასპორტების მფლობელებმა აუცილებლად უნდა მიგვმართონ წინასწარ, რათა პროცედურა ჩატარდეს საქართველოში ეგვიპტის საკონსულოს მიერ.

ეგვიპტის საბაჟო. 20 წელზე უფროსი ასაკის მგზავრთათვის ნებადართულია მხოლოდ 1 ლიტრი სპირტიანი სასმელის და 2 ლიტრი ლუდის შეტანა; 15 წელზე უფროსი ასაკის მგზავრთათვის ნებადართულია მხოლოდ 200 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის გადატანა. იკრძალება ეგვიპტიდან ანტიკვარიატის, მარჯნის, ცხოველების გატანა. ქვეყანაში შესვლისას აუცილებელია ვიდეოკამერის დარეგისტრირება. ყურადღება: იკრძალება ეგვიპტეში ვიდეო კამერის გაყიდვა ან ჩუქება.

ტრანსფერი აეროპორტიდან სასტუმროში. აეროპორტის ARRIVALS ტერიტორიიდან გასვლისას თქვენ დაგხვდებით ქართულ/რუსულენოვანი ტურ ლიდერი, რომელიც თქვენს ვაუჩერში მითითებული სასტუმროს შესაბამისად გადაგანაწილებთ სხვადასხვა ავტობუსსა თუ ინდივიდუალური ტრანსფერის საშუალებაში.

* გაითვალისწინეთ, რომ სწორედ ვაუჩერშია მითითებული თქვენი სასტუმროს დასახელება და პაკეტის ტიპი! ტრანსფერის დროს ტურ ლიდერი გაცნობებთ გაცნობითი შეხვედრის დროისა და ადგილის შესახებ.

სასტუმროში სასტუმროში მისვლისთანავე რეგისტრატურის პერსონალი გამოგართმევთ თქვენს პასპორტებს იდენტიფიკაციისათვის და მისი ფოტო ასლის გადასაღებად, თუმცა ეს ხდება ხანმოკლედ დროით და პასპორტები შეგიძლიათ დაიბრუნოთ ჩასვლის დღის ბოლოსვე ან მეორე დღეს. რეგისტრაციისას რეგისტრატურის თანამშრომელი მოგაწვდით სარეგისტრაციო ფორმას, რომელშიც უნდა შეავსოთ შემდეგი ინფორმაცია: თქვენი და თანმხლები პირის სახელი, გვარი, პასპორტის ნომერი, დაბადების თარიღი, ეროვნება; შესაძლოა საკონტაქტო ტელეფონი ან ელექტრონული ფოსტის მისამართი. აღნიშნული პროცედურის დასრულებისთანავე თქვენ მიიღებთ ოთახის გასაღებს, რომლის ნომერიც შემდეგ უნდა დაიტანოთ თქვენს ბარგზე.

სასტუმროში რეგისტრაცია და შესახლება იწყება არაუადრეს დღის 14:00 საათისა.

- სასტუმროს ნომერში შესვლისას ან რეგისტრაციისას თქვენ გადმოგეცემთ ინფორმაცია სასტუმროს მომსახურების კონცეფციის შესახებ (ე.წ. ALL INCLUSIVE პაკეტით სარგებლობის წესები და შესაბამისი პუნქტები სასტუმროში), ინფორმაცია ფასიანი თუ უფასო მომსახურებების, რესტორნებისა და გართობის შესახებ.
- გამომგზავრების დღეს ანგარიშსწორების და ნომრის გათავისუფლების დრო დღის 12:00 საათია. გვიანი რეისის შემთხვევაში ნომრის გახანგრძლივება (late check-out) წინასწარ თანხმდება ტურისტულ სააგენტოსთან ან ადგილზე, სასტუმროს რეგისტრატურაში დამატებითი საფასურის სანაცვლოდ. გაითვალისწინეთ, რომ ნომრის გახანგრძლივება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესძლებელი, თუ სასტუმროს აქვს ამის საშუალება, და მისი ხანგრძლივობა და საფასური წინასწარ თანხმდება დაკვეთისას.

შეხვედრა ტურ ლიდერთან ქართულ/რუსულენოვან ტურ ლიდერთან (გიდთან) შეხვედრები იწყება ჩამოფრენის მომდევნო დღეს, თქვენი სასტუმროს ტერიტორიაზე და გაგრძელდება 3 დღის მანძილზე. ტურ ლიდერი მოგაწვდით ინფორმაციას და ფასებს, როგორც სასტუმროს მომსახურებების, ასევე ექსკურსიებისა და გასართობი პროგრამების შესახებ. აქვე შეგიძლიათ დაჯავშნოთ ნებისმიერი შემოთავაზებული ტური.

!!! შესაძლოა თქვენ სხვადასხვადროს ქუჩაში ან სასტუმროს ტერიტორიაზე შემოგთავაზონ ექსკურსიები და ტურები განსხვავებულ ფასად. ჩვენი რეკომენდაციაა ნუ გამოიყენებთ უცხო ადამიანების მომსახურებას, რადგან ასეთ შემთხვევაში „ინტერკონტინენტალი“ და მისი პარტნიორი კომპანია იხსნიან ნებისმიერ პასუხისმგებლობას თქვენს მიერ შესყიდული ტურებისა და ექსკურსიების კომფორტზე, ხარისხსა და უსაფრთხოებაზე.

ტურ ლიდერის კომპეტენციები ტურ ლიდერი, იგივე გიდი, ვალდებულია: დაგხვდეთ აეროპორტიდან გამოსასვლელში; მიგივითითოთ თქვენი ტრანსფერის ავტობუსი; გაგცნოთ პირადად და შეგატყობონოთ მომდევნო დღეს დანიშნული შეხვედრის დრო და ადგილი. ტურ ლიდერი მოვალეა დათქმულ დროს მოვიდეს სასტუმროში (გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მან შესაძლოა ერთი საათით დააგვიანოს მოსვლა და ნუ გეწყინებათ:)) და მოგაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია. ტურ ლიდერი ასევე ვალდებულია გააკეთოს ყველაფერი სირთულეების მოსაგვარებლად, თუ თქვენ შეგეკმნათ ასეთი. უმორჩილესად გთხოვთ, ისეთი სირთულის მოსაგვარებლად, რაც შეიძლება მოგვარდეს ტელეფონით, ნუ გამოიძახებთ ტურ ლიდერს სასტუმროში, რათა არ შეიქმნას ისეთი ვითარება, როდესაც მას

სჭირდება ერთდროულად რამდენიმე სასტუმროში ყოფნა. ასევე გთხოვთ გაითვალისწინოთ და პატივი სცეთ ტურ ლიდერის თავისუფალ დროს და გადაუდებელი საქმის გარეშე ნუ შეაწუხებთ სამუშაო საათების შემდეგ.

!!! კომპანიის წარმომადგენელ ტურ ლიდერს სასტიკად ეკრძალება მგზავრთა პირადი მოთხოვნების შესრულება.

გამომგზავრება

გამომგზავრების წინ დარწმუნდით, რომ ყველა თქვენი პირადი ნივთი და დოკუმენტი ჩაალაგეთ.

***აეროპორტში ტრანსფერის შეფერხების თავიდან ასაცილებლად, დახვდით ტურ ლიდერს სრულ მზადყოფნაში, მათ შორის: დასრულებული უნდა იყოს ანგარიშწორება რეგისტრატურაში, ბარგი უნდა იყოს მისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე. უმჯობესია ანგარიში გაასწოროთ რეგისტრატურასთან და დაფაროთ ყველა დამატებითი მომსახურების საფასური გამგზავრების წინა საღამოს. დამატებითი მომსახურება მოიცავს: სასტუმროს ნომერში მინი ბარით სარგებლობას; ფასიანი რესტორნებით და ბარებით სარგებლობას და ნებისმიერ დამატებით ხარჯებს. გაითვალისწინეთ, რომ სასტუმროს კუთვნილი ნებისმიერი ნივთის დაკარგვაზე დაგვეკისრებათ ფულადი ჯარიმა (ხალათები, პირსახოცები, საკიდარები, ა.შ.)

გამომგზავრების აეროპორტში

დასაშვები წონა:

ბიზნეს კლასის მგზავრებისთვის ბარგის უფასო ლიმიტია **30** კილოგრამი. **ეკონომ**
კლასის მგზავრებისათვის ბარგის უფასო ლიმიტია **20** კილოგრამი.
დაშვებულ ლიმიტზე გადაჭარბების შემთხვევაში 1 კილოგრამზე დამატებითი გადასახადი შეადგენს **5.00** ევროს.

ფრენის ხანგრძლივობა თბილისის საერთაშორისო აეროპორტდან ჰურგადის აეროპორტამდე შეადგენს 3 საათს.

გთხოვთ ხელმოწერით დაადასტუროთ, რომ გაეცანით და ეთანხმებით ზემოთაღნიშნულს.

სახელი და გვარი _____

სასარგებლო ინფორმაცია ეგვიპტის შესახებ

ენა – ეგვიპტეში სალაპარაკო ენა არის ეგვიპტური დიალექტის არაბული. ქვეყნის ოფიციალურ ენაა ე.წ. „მადალი“ – კლასიკური არაბული.

ჰავა. ეგვიპტის ჩრდილოეთ ნაწილში ჰავა სუბტროპიკულია, დანარჩენ ტერიტორიზე გავრცელებულია უდაბნოს ტროპიკული კლიმატი, ტემპერატურის იშვიათი ცვლილებებით. ზღვაში საცურაო სეზონი ეგვიპტეში მთელ წელს გრძელდება: წითელ ზღვაში წყლის ტემპერატურა ზამთარში სანაპიროსთან არ ეცემა +18 გრადუსის ქვემოთ და +20 გრადუსის ქვემოთ მარჯნის რიფებთან. ზაფხულში წყლის ტემპერატურა შეიძლება გაიზარდოს +30 გრადუსამდე. ეგვიპტის ყველა კურორტზე მზე წლის ნებისმიერ პერიოდში საკმაოდ აქტიურია და აუცილებელია, რომ ტან იქონიოთ მზისგან დამცავი საშუალებები.

საშუალო ტემპერატურის ცხრილი ჰურგადაში:

t°C (საშუალო)	იან.	თებ.	მარ.	აპრ.	მაის.	ივნ.	ივლ.	აგვ.	სექ.	ოქტ.	ნოვ.	დეკ.
დღისით	21	22	24	27	29	32	35	36	32	30	27	24
ღამით	17	16	17	19	22	25	25	26	24	22	18	17
წყალი	20	18	20	23	26	29	30	30	29	26	24	22

დროის სარტყელი: ეგვიპტე GMT+2, საქართველო GMT+4 (სხვაობა საქართველოსთან: -2 საათი)

ეგვიპტის ეროვნული ფულის ერთეული- ეგვიპტური ფუნტი (LE). უმცირესი ერთეულია პიასტრი (PT). ერთი ეგვიპტური ფუნტი შეადგენს 100 პიასტრს. მიმოქცევაში ჩაშვებულია შემდეგი ღირებულების ბანკნოტები: 1, 5, 10, 20, 50 და 100 LE, ასევე 25 და 50 PT. იყავით ყურადღებით, რომ არ აგერიოთ 50 პიასტრიას და 50 ფუნტის ბანკნოტები, რადგან ისინი საკმაოდ ჰგვანან ერთმანეთს.

უცხოური ვალუტის გადაცემა ხდება ბანკებსა და მათ ფილიალებში, ასევე სხვადასხვა სასტუმროებში განთავსებულ ATM აპარატების საშუალებით. გადაცვლის კურსი ძირითადად სტაბილურია და აშშ დოლართან მიმართებაში შეადგენს 1 USD ~ 6 ფუნტს (ინგლ. - pound - "პაუნდ").

დენი . დენის ძაბვა ეგვიპტეში შეადგენს 220 V. მრავალ სასტუმროში სინათლე არ ინთება, კონდენციონერი არ ჩაირთვება, მანამ, სანამ გასაღებს არ მოათავსებთ შესაბამის ჭრილში, რომელსაც ნომერში შესვლისთანავე იპოვნით შესასვლელ კართან.

სეიფი. სეიფი აუცილებლად უნდა გამოიყენოთ თქვენი ძვირფასეულობის, დოკუმენტების, ნაღდი ფულის შესანახად. სეიფით სარგებლობა ზოგ სასტუმროში ფასიანი შეიძლება იყოს, ამიტომ გთხოვთ წინასწარ გაეცნოთ სარგებლობის პირობებს.

ტრანსპორტი. საკურორტო ქალაქების ცენტრალურ ნაწილში სანაპიროს გასწვრივ მოძრაობენ სამარშრუტო მიკრო ავტობუსები (ლურჯი „მარშუტკები“). მათი საფასური კაცზე შეადგენს როგორც წესი 1–5 ფუნტს, თუმცა გირჩებთ ფასზე მაინც წინასწარ შეუთანხმდეთ მძღოლს. ცენტრიდან მოშორებით განთავსებულ სასტუმროებიდან ქალაქში მოძრაობენ სასტუმროების კუთვნილი კომფორტული ავტობუსები, ზოგ შემთხვევაში უფასო, ზოგ შემთხვევაში ფასიანი. ავტობუსებზე სამგზავროდ შესაძლოა დაგჭირდეთ წინასწარი ჩაწერა, რისთვისაც უნდა მიმართოთ სასტუმროს რეგისტრატურას. კურორტებზე მოძრაობენ ტაქსები, რომელთა ტარიფი დამოკიდებულია მანძილზე და წინასწარ უნდა შეუთანხმდეთ მძღოლს.

ბანკების და მაღაზიების მუშაობის განრიგები . ბანკები და სახელმწიფო დაწესებულებები ეგვიპტეში მუშაობენ ყოველდღე , გარდა პარასკევის და შაბათისა დილის 08:30 საათიდან 15:30 საათამდე. საკურორტო ქალაქებში მაღაზიები მუშაობენ დილის 10:00 საათიდან შუადღის შესვენებამდე და მერე 16:00 საათიდან შუალამამდე. ოფიციალური დასვენების დღე ეგვიპტეში პარასკევაია.

მომსახურების წახალისება – ე.წ. „ჩაი“ ნებაყოფლობითია და შეადგენს 5–10 ფუნტს მომსახურე მძღოლებისათვის, ბარგის მტვირთავებისათვის, ოფიციატებისათვის.

სასმელი წყალი - ონკანის წყლის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ შხაპისა და პირადი ჰიგიენისათვის. სასმელი წყალი კი იყიდება პლასტმასის ბოთლებით ნებისმიერ სავაჭრო პუნქტებში და სასტუმროებში.

საგანგებო ვითარების ტელეფონები: პოლიცია - 122; სასწრაფო დახმარება - 123; სახანძრო - 125.